საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030115100239119

№ 01-339/ო **04 / ნოემბერი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომელთა და სამინისტროს სისტემის ზოგიერთი თანამდებობის პირთა მივლინების წესის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომელთა და სამინისტროს სისტემის ზოგიერთი თანამდებობის პირთა მივლინების ორგანიზების მიზნით, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის № 473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „ო“ ქვეპუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) შემოსული ნებისმიერი დოკუმენტი/წერილი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას უცხოეთში დაგეგმილ ღონისძიებაზე ან უკავშირდება ოფიციალურ მოწვევას (სასწავლო ან სამეცნიერო სემინარები, ტრენინგები, კონფერენციები, ფორუმები და ა.შ) შემდგომი რეაგირების მიზნით, გაეგზავნოს სამინისტროს ადმინისტრაციას.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) მოადგილეების უცხოეთში ვიზიტის თაობაზე ინფორმაცია წინასწარ ეცნობოს მინისტრს ზეპირსიტყვიერად. მინისტრის თანხმობის შემთხვევაში, სამინისტროს ადმინისტრაციამ მოამზადოს შესაბამისი მოხსენებითი ბარათი მინისტრის სახელზე, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ღონისძიების ფინანსური და ორგანიზაციული საკითხები. მინისტრის დადებითი რეზოლუციის შემთხვევაში, სამინისტროს ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შემდგომი პროცედურების შესრულებას.

3. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის (დეპარტამენტის) უფროსების მივლინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ, კურატორი მინისტრის მოადგილის თანხმობის შემთხვევაში, შეთანხმდეს მინისტრთან, მინისტრის თანხმობის შემთხვევაში მივლინების პროცედურა განხორციელდეს ამ ბრძანების მე–2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

4. სამინისტროს ცენტრალური აპარატის სხვა თანამშრომელთა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინება, დეპარტამენტის უფროსის თანხმობის შემთხვევაში, შეთანხმებულ იქნეს კურატორ მინისტრის მოადგილესთან. კურატორი მინისტრის მოადგილის თანხმობის შემთხვევაში, სამინისტროს ადმინისტრაციამ მოამზადოს შესაბამისი მოხსენებითი ბარათი თანამშრომელთა მივლინების შესახებ, გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირის სახელზე, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ღონისძიების ფინანსური და ორგანიზაციული საკითხები. უფლებამოსილი პირის დადებითი რეზოლუციის შემთხვევაში სამინისტროს ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შემდგომი პროცედურების შესრულებას.

5. ქვეყნის შიგნით მივლინების თაობაზე მოხსენებით ბარათში მითითებულ უნდა იქნეს: ინფორმაცია მივლინებაში გასამგზავრებელი პირის (პირების), მივლინების მიზნის, მივლინების დაწყებისა და

დასრულების თარიღის, მივლინების ადგილის (ადგილების), მივლინებასთან დაკავშირებული ღონისძიებების და მათი ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ.

6. სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომლები (გარდა მინისტრის მოადგილეებისა) ვალდებულნი არიან, საზღვარგარეთ მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ, 5 დღის ვადაში სამინისტროს ადმინისტრაციას წარუდგინონ ანგარიში, თანდართული დანართის შესაბამისად.

7. მივლინებიდან დაბრუნებული სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომელი, სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, წარუდგენს მოხსენებით ბარათს მივლინებაში ყოფნის დადასტურების შესახებ, ფინანსურ დოკუმენტაციასთან ერთად.

8. სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინება წერილობით შეთანხმებულ იქნეს მინისტრთან.

9. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს თანამშრომელთა და სამინისტროს სისტემის ზოგიერთი თანამდებობის პირთა მივლინების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 დეკემბრის N01-1320/ო ბრძანება.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე